# ახალი ნაკადი

კვირა, მაისის 30

№ 1.

რედაქციის ბინა: რუსთაკ. პროსპ. 26.
ქარ. ბეჭდ. ამხანაგობა.
ფასი ჟურნალის თითო ნომრისა 10 მ.

პერიოდული საზოგადოებრივი სამეცნიერო და სალიტერატურო ჟურნალი.

ჟურნალში უახლოეს თანამშრომლობას გასწევენ: პროფ. მიხ. წერეთელი, პროფ. ს. ავალიანი, გ. ჯავახიშვილი, გრ. დიასამიძე, ალ. წერეთელი და სხვ.



Y 908


**რედაქციისაგან:**

ჟურნალი „ახალი ნაკადი“ ჩვენის განზრახვით უნდა გამოსულიყო მაისის 10-ს. ამიტომ ამ ნომერში მიდის მასალა იმ დროისთვის დამზადებული.

## ჩვენი ჟურნალი.

ჩვენი დრო—მსოფლიო ომის და რევოლიუციის დროა. უმაგალითოა ეს ხანა მსოფლიოს ცხოვრებაში და უმაგალითოა ის შედეგები, რომელიც მოსდევს ამ უდიდეს გადატრიალებათ, ჩვენი თვალის წინ რომ ხდება.

ინგრევა და ნიავდება ძველი სისტემები ხალხთა პოლიტიკური და ეკონომიური ყოფა-ცხოვრებისა, ირღვევა ერთა დამოკიდებულებანი და ძველი შემეცნებანი საზოგადოებრივი ცხოვრებისა.

ის თეორიები, რომელნიც დღემდის შეუქმნია მეცნიერებას უმთავრესად სოციალურ და ეკონომიურ საკითხების გადასაწყვეტად, ყველა დაყენებულია დიდი კითხვითი ნიშნის ქვეშ და ჩვენი დრო გადაჭრით მოითხოვს მათ გადასინჯვას, მათ გადაფასებას, რადგან თანამედროვე რევოლიუციამ არა მარტო ჩვენში, არამედ ევროპის უდიდეს ქვეყნებშიაც სცადა პრაქტიკულად განხორციელება იმ იდეალებისა, რომელნიც დასახული ჰქონდა ამ თეორიებს ხალხთა ცხოვრების სამართლის და თანასწორობის ნიადაგზე მოსაწყობად.

ნათქვამია: „ოქროს სიწმინდეს სინჯავენ ქვითაო“ და, ამის მიხედვით, თეორიების ცხოველმყოფელობა ირკვევა მაშინ, როდესაც სწარმოებს ცდა მათი პრაქტიკულად განხორციელებისა.

დღეს კი აშკარა შეიქმნა, რომ ძველი ცხოვრების გარდაქმნა ახალ საფუძველზე, სრული განხორციელება თავისუფლებისა და თანასწორობისა ამ ქვეყნად არც ისე ადვილი ყოფილა, როგორც ეს პირველი შეხედვით ეჩვენებოდა მათ, რომელნიც აღიზარდნენ უკანასკნელი დროის სოციალ-ეკონომიურ თეორიებზე.

ეს მოვლენა არ არის მოულოდნელი, არ არის უჩვეულო. კაცობრიობის ისტორიის მთელ სივრცეზე სწარმოებს დაუცხრომელი ბრძოლა ბატონობისათვის და ბატონობის წინააღმდეგ, რომელსაც საფუძვლად უდევს უკვდავი, მარადიული იდეალი; **აღდგენა დარღვეული ექვილიბრიუმისა, დაბრუნება დაკარკული თავისუფლების და თანასწორობისა, ადამიანის პიროვნების სრული განთავისუფლებისა,** რომლის მიღწევას კაცობრიობა აქამდის ვერ ღირსებია.

ადამის ტომის საუკეთესო შვილნი, ჩაგრულთა უფლებისათვის მებრძოლნი, ამ იდეალისათვის თავდადებულნი, სხვა და სხვა საშუალებით ცდილობდნენ მათ განხორციელებას. მაგრამ დღემდის მათ ცდას სრული გამარჯვება არ მოჰყოლია და კაცობრიობა კვლავ ბოროტი სულის კლანჭებში იტანჯება. მართალია, მათ ბრძოლას სულ უნაყოფოდ არ ჩაუვლია, მართალია თანდათან თითქოს გაუმჯობესდა რამოდენიმედ ხალხის მდგომარეობა, მაგრამ ყველა გრძნობს, რომ აღთქმის ქვეყნამდის ჯერ კიდევ ძალიან შორის არის და ისტორიულ ბოროტების დასათრგუნავად ჯერ კიდევ ბევრი დრო, სისხლი და ცრემლი იქნება საჭირო.

არავისთვის საიდუმლო არ არის ის გარემოება, რომ ჩვენი დროის უდიდესმა გადატრიალებამ, და იმ ცდამ, რომელიც მოახდინა თანამედროვე უდიდესმა რევოლიუციამ ქვეყნად თანასწორობის დამყარებისათვის, ჩვენი მოლოდინი და იმედი არ გაამართლა და ის თეორიები, რომლითაც ხელმძღვანელობდნენ რევოლიუციის მესვეურნი და რევოლიუციონური დემოკრატია, მაინც და მაინც არ გამოდგა ბაჯაღლო ოქრო, უებარი საშუალება.

ამ გარემოებამ სრ[illegible] საფუძვლიანად გული გაუტეხა არა მარტო [illegible]ალხს, რომელიც

ოსო რტოძე ეკონომი
ნიბანიძე

ცის მანანასავით ელოდა ამ დროს, არამედ მოწინავე ინტელიგენციასაც, რომელიც დარწმუნდა, რომ მის მიერ ნახმარი ხერხი სამარადისო იდეალების განსახორციელებლად მაინც და მაინც ვერ გამოდგა მკვეთრი და უებარი.

და რა გასაკვირია, თუ ასეთ პირობებში ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა გულგატეხილობა, გულგრილობა და უიმედობა, ხოლო ხალხი, ფართე მასსა კი მიუბრუნდა ძველ ღმერთს, ზეციერ მამას და ლოცულობს გულმოდგინებით, რომ მოინანიოს ცოდვები და, თუ ამ ქვეყნიურ სამოთხეს ვერ ეღირსა, საიქიო მაინც არ დაეკარგოს და სულიან-ხორციანად არ წარწყმდეს!

ეს უიმედობა, ეს გულგატეხილობა უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს მომავლის ძიებისათვის და ფართე ასპარეზს უშლის ბოროტებას იმ მანათობელი ვარსკვლავის დასაჩრდილავად, რომელიც მაინც ანათებს და იკაშკაშებს მუდამ, ვიდრე კაცობრიობის ჩამოღამებულ ცაზე არ ამობრწყინდება სანატრელი, მხურვალე მზე ადამიანის თავისუფლებისა და ბედნიერებისა!

და ის ნაწილი ჩვენი ხალხისა, რომელიც კვლავ ინდებურის იმედით მისჩერებია „ბეთლემის ვარსკვლავს“ და მოელის დიდებულ განთიადს, გულს არ იტეხს და თუ უკვე ნაკადი იარაღი, ნაკადი გზა და თეორიები სავსებით უებარი არ აღმოჩნდა, ეს გარემოება მისთვის სასოწარკვეთილების მიზეზად ვერ გახდება, იგი უფრო მეტის ენერგიით, უფრო მეტის თავდადებით განაგრძობს მუშაობას და **ეძიებს ახალ ხერხს, ახალ გზებს აღთქმის ქვეყნამდის მისაღწევად.**

ეს ძიება, მუდმივი ძიება ახალ ღირებულებათა არის, რომ ასულდგმულებს პროგრესს და აფაქიზებს ადამიანის პიროვნებას, ურომლისოდაც ცხოვრება დამყაყებულ ჭაობს და სამხეცეთს დაემსგავსება და ის, ვინც ეძიებს ახალს, გვერდს ვერ აუხვევს ძველს, წარსულს, რადგან:

„აწმყო შობილი წარსულისაგან,
არის მშობელი მომავლისა“

და თუ უნდა ვისმეს მონახოს ახალი საშუალება, აღმოაჩინოს ახალი გზები, იგი იძულებულია გადასინჯოს ძველი გზები, ძველი უკვე ნაკადი თეორიები და **მოახდინოს გადაფასება ყოფილ ღირებულებათა.**

ეს მუშაობა აუცილებელია დღეს, ყოვლად საჭირო, რომ სასოწარკვეთილებას ხალხში ნიადაგი მოესპოს და მისი გონების თვალი კვლავ მანათობელ ვარსკვლავისაკენ მივაპყროთ.

და ჩვენი ჟურნალი და მის გარშემო შემოკრებილი ჯგუფიც სწორედ ამ მუშაობას ისახავს მიზნად.

ახალი გზების, ახალ საშუალებათა, ახალ ღირებულებათა ძიებამ უნდა მოგვცეს **ახალი ნაკადი** აზრებისა, რომელნიც შეიქმნებიან ჩვენთვის ხელმძღვანელად მომავლისათვის ბრძოლაში. ერთგვარად ეს ცდა ფკვე მოახდინა ჩვენმა ჯგუფმა გაზ. „ახალი ნაკადის“ ფურცლებზე, მაგრამ ჩვენ გვსურს, რომ ის ვიწრო ფარგლები, რომელშიაც აყენებდა დაინტერესებულ პირთ ამ გაზეთის დანიშნულება, შეძლებისამებრ გავაფართოვოთ და გასავალი მივსცეთ **ყოველ ახალ აზრს და ძიებას, რომელიც ემსახურება ადამიანის პიროვნების სრულ განთავისუფლებას და განვითარებას ქვეყნად მისი ბედნიერების დასამყარებლად.**

ამ მიზნით, ამ უდიდესი, უკვდავი იდეალით გამსჭვალულნა. შეეეცდებით, რომ ჩვენმა ჟურნალმა სათანადო სამსახური გაუწიოს კაცობრიობის საუკეთესო მისწრაფებით.

ჟურნალ „ახალი ნაკადის“ ფურცლები ღია იქნება ყველა იმათთვის, ვისი გულიც აღგზნებულია ამ დიადი ცეცხლით, ვისაც აღეძვრის სურვილი თავისი წვლილი შეიტანოს ღირებულებათა გადაფასებაში, როგორც საზოგადოებრივ ცხოვრების საკითხებში, ისე მეცნიერებაში და ლიტერატურაში.

**ის. დორელი.**

# რევოლიუცია და ერეგი

I

მსოფლიო ომის დროს ორი დიდი პრობლემის გადაწყვეტა სცადა ყოველმა ერმა,—დიდმა და პატარამ,—ეროვნულისა და სოციალურისა. მას შემდეგ, რაც ერები არსებობენ, მათ შორის ბრძოლა სწარმოებს და მათი შინაგანი ცხოვრების განვითარება სოციალურ საკითხებს აყენებს, ყოველთვის ამ ორი პრობლემის ირგვლივ ტრიალებდა კაცობრიობის ისტორია. წარსულ საუკუნეში მათი გადაწყვეტის აუცილებლობა უმწვავესი იყო, ვიდრე უფრო შორეულ წარსულში, მაგრამ მსოფლიო ომმა პირდაპირ თავის მიზნად აქცია მათი საბოლოოდ გადაჭრა, ლოზუნგებად გადისროლა კაცობრიობაში ეროვნული პრინციპი და დემოკრატიზმი.

ხოლო მსოფლიო ომის მიერ გამოწვეულმა რევოლუციებმა მიზნად დაისახეს დაენგრიათ თვით საფუძველი ძველის საზოგადოებრივობისა და შეექმნათ ახალი ცხოვრება. სოციალიზმი, რომელიც თეორიულად შემუშავებული იყო მთელის წარსულის საუკუნის აზროვნების მიერ, პრაქტიკულად სწადიათ განახორციელონ იმ ქვეყანათა მუშათა კლასებს, სადაც ძველი რეჟიმი რევოლუციამ დასცა. მხოლოდ გზანი აქვთ სხვადასხვა არჩეულნი: რუსეთის ბალშევიზმი ცდაა სოციალიზმის განხორციელებისა მშრომელთა დიქტატურით, გერმანიისა—დემოკრატიზმის ხანის გავლით და მომზადებით. და კაცობრიობა შეიძლება მალე გახდეს მოწამე მსოფლიო რევოლიუციისა, როგორც იგი 6 წლის განმავლობაში იყო მოწამე მსოფლიო ომისა: ყოველი ერი, თანახმად თვისის ხა-

სიათისა, საკუთარს მეთოდებს გვაჩვენებს რევოლუციისას, ძველ ცხოვრების შეცვლისას. პროცესსი იმ დიდი ცვლილებისა, რომელიც 1914 წელს დაიწყო, ჯერ არ დამთავრებულა, არ ვიცით როდის დამთავრდება იგი, მაგრამ ერთი კი უეჭველია,—იგი ისე დამთავრდება, რომ ახალი ქვეყანა შეიქმნება, ახალ საფუძველზე აშენებული, ახალი სულითა და ახალ ღირებულებათა შექმნელი.

ერთი დიდი მოვლენის აღნიშვნა შეიძლება, როგორც მსოფლიო ომის ისე რევოლუციათა განმავლობაში და იგი გვაძლევს კიდევ იმედს მომავლისას, მიუხედავად მთელის იმ ცინიზმისა და მხეცობისა, რომლითაც ომი სწარმოებდა და რევოლუციები ომს არ ჩამოუვარდებიან: ეს არის უკვდაება იდეისა, ღირებულების სიბეჯითე, რომელსაც ვერავითარმა ბოროტმა, ვერავითარმა ცინიზმმა და მხეცობამ ვერ სძლია და ვერცა სძლევს.—წარსული ომი იყო ომი ინგლისსა და გერმანიას შორის, ერთი თვის მსოფლიო ბატონობას იცავდა მეორეს მეტოქეობისაგან, მეორეც პირველისაგან იცავდა თავს, რომ შეენარჩუნებინა თავისი ეკონომიური და ეროვნული ძალა, ქვეყნის ბატონობაში მასაც წილი ჰქონოდა; სხვა სახელმწიფოთაგან ზოგი ერთს მიემხრო,—ზოგი მეორეს იმავ ეგოისტურ მიზნით,—მაგრამ ლოზუნგები ომისა, „მიზანი ომისა“, როგორც მეომარი მხარეები ამბობდენ, იყვნენ: ბრძოლა იმპერიალიზმისა და მილიტარიზმის წინააღმდეგ, ერთა განთავისუფლება, დემოკრატიზმის განმტკიცება, სამართალი ნამდვილი საერთაშორისო, თავისუფლება და სხვ.—პირმოთნეობა საშინელი, მაგრამ დამამტკიცებელი ომისი, რომ თვით პირმოთნეობაც ვერ უარყოფს იმპერიალიზმისა და მილიტარიზმის ბოროტებას და თავისუფლებისა, სამართლისა და ერთა დამოუკიდებლობის ღირებულებას! დამარცხდა ის მხარე, რომელიც მოწინააღმდეგის აზრით იყო ბუდე იმპერიალიზმისა და მილიტარიზმისა, მაგრამ გამარჯვებულთა მხარეზედ, უარესი იმპერიალიზმი, მილიტირიზმი და ფლოტიზმი და სრული უარყოფა სამართლისა აშკარად წარმოუდგა კაკობრიობას თვალ წინ, და ის ცხადი და ყველასათვის ცნობილი ფაქტი, რომ იმპერიალიზმი და მილიტარიზმი მარტო ერთ ქვეყანას კი არ ახასიათებდა ომის წინ, არამედ ყველა დიდ სახელმწიფოს და ბევრ პატარასაც, დღეს აშკარაა გამარჯვებულ ერთათვისაც და მათ შორისაც იბადება აუცილებლობა მოისპოს ეს დიდი ბოროტება ადამიანთა საზოგადოების წიაღთა შინა აღმოცენებული, მოისპოს იგი, **როგორც საზოგადო მოვლენა**—ყველგან, როგორც ინგლისში, ისე საფრანგეთში, და ბელგიაში მსგავსად ომისა, როგორც გერმანიაში და რუსეთში ზარი დასცეს მას დამარცხებამა და რევოლუციამ.—ვილსონის 14 პუნქტი სასაცილოდ აიგდო პარიზის კონფერენციამ, ხალხთა ლიგის მაგიერ ერთი ერის თვითმპყრობელობის განმტკიცება მოინდომეს ქვეყანაზე, ახალი საერთაშორისო სამართლის შექმნის მაგივრად სულ მოსპეს საერთაშორისო სამართალი, ეროვნების პრინციპის განხორციელების მაგივრად ის ერნი განათავისუფლეს, რომელთა თავისუფლება მხოლოდ გამარჯვებულთათვის იყო ხელსაყრელი, დასჩაგრეს ისინი, რომელთაც იგინი ან მტრულად უყურებდენ, ან და თავიანთ მიზანთათვის ვერ გამოიყენებდენ, და ესე ყოველივე თითქოს სამართლისა და ეროვნების პრინციპის სახელით მოახდინეს! მაგრამ გაჩნდა მოწინააღმდეგე ძალა თვით გამარჯვებულთა შორის, რომელიც სამართლის აღდგენისათვის იბრძვის, ჩაგრულნი ერნი კვლავ იღებენ იარაღს თავისუფლებისათვის საბრძოლველად და **თვით იდეა უკვდავი რჩება:** სამართალი ყველასათვის, ეროვნულ პიროვნების დაცვა—ყველა ერის უფლება, ბრძოლა საერთაშორისო ბატონყმობისა და ერთი ერის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, როგორც მსოფლიო ბოროტების წინააღმდეგ! ეს იდეაც ვერ მოჰკლა პირმოთნეობამ; კაკობრიობამ თითქოს სწორედ ამ იდეათათვის ჰლვარა სისხლი, მაგრამ ვინც ამ იდეებით ბოროტად ისარგებლეს სულ სხვა მიზანთა მიღწევისათვის მათ უნდა ზღონ დანაშაული სავსებით, რომ ბოლოს და ბოლოს ის იდეალი გაიმარჯვებს, რომელიც კაცობრიობას ამდენი ტანჯვით შეუქმნია და საუკუნოებით იბრძვის მის განსახორციელებლად.—და თვით რევოლუცია, რომელიც პირმოთნეობით კი არა, არამედ გულწრფელად, გამოვიდა დიდ იდეათა განსახორციელებლად და დაამხო ძველი რეჟიმი, განა დღეს, განსაკუთრებით რუსეთში, ის არის, რაც დასაწყისში იყო? არა! დიქტატურა პროლეტარიატისა, რომელიც უდიდეს სიკეთედ და ბედნიერების მიმნიჭებელად მიაჩნდა თვით მუშათა კლასს, ჯოჯოხეთურ მონობად გადიქცა მთელი ერისათვის და თვით პროლეტარიატისათვისაც! ერთა განთავისუფლება, რომელიც თვით დაწერეს ბოლშევიკებმა თავიანთ დროშაზე, მათგანვე ითრგუნება ცეცხლითა და მახვილით და ბოლშევიზმის სახით რუსის იმპერიალიზმი ევლინება კვლავ ძველის რუსეთის იმპერიის მონობიდან ძლივს განთავისუფლებულ ერებს. იდეა სამართლისა, ერთა შორის ძმობისა, თავისუფლებისა და სხვ. მოისპო ტერორისა და ძალადობის მახვილით. ძველი რეჟიმის ხალხი, ჰკვიანი იმპერიალისტები, ბოლშევიზმს მიემხრო, როგორც ძალას, ძველი დიდის რუსეთის იმპერიის აღმდგენელს.. მაგრამ აქაც უკვდავი იდეა ძალად გამოდის იმ სულის წინააღმდეგ, რომელიც მას სიკვდილს უქადის. იგი ამბობს: დიქტატურა, თუ გინდ პროლეტარიატისა, არ არის თავისუფლება. რაც მან ჰქმნა, შეიძლება აუცილებელი იყო, მაგრამ კმარა, ამოიწურა ყოველივე შესაძლებლობა სოციალურ გარდაქმნათა რუსეთში. მეტი დიქტატურა კი უარ-ყოფაა თვით რევოლუციის მიერ მონაგებისა და დაბრუნება ძველ მონობისაღმი, რევოლუციამ სხვა მიმართულება უნდა მიიღოს, უდიქტატურო ორგანიზაცია საზოგადოებისა, სამართალზედა და თავისუფლებაზედ დამყარებული სისტემა წარმოებისა და ნაწარმოების განაწილებისა,—ყველგან, მთელს მსოფლიოში, ექმნება რა თვითოეულ ერს სრული უფლება და შესაძლებლობა თავისუფალ ეროვნულ ცხოვრებისა და მეზობელ ერებთან მშვიდობიან განწყობილებისა. და როგორის სიძლიერითაც არ უნდა შეებრძოლოს რუსის ბოლშევიზმი ამ იდეას, თვით ევროპის სოციალურმა რევოლუციამაც რომ დიქტატურით მოინდომოს მისი ჩაკვლა, მაინც იცოცხლებს და ძალად გამოვა იგი ყოველთვის, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც თავისუფალ სოციალიზმის პრინციპზე არის დამყარებული მუშათა ორგანიზაციები და აგრედვე იმ პატარა ერთა შორის, რომელთაც შინაგან სოციალურ პრობლემათა გარდა, თვით ეროვნულ არსებობის საკითხი უდგიათ წინ,—პატაოა ერთ, რომელთაც დიქტატურული სოციალიზმიც ისე არ ინდობს, როგორც მათ ძველი იმპერიალიზმი არ ინდობდა! ამ უკვდავ იდეებსაც აქვსთ გადამწყვეტი მნიშვნელობა დიდ მოძრაობათა პრო-

ცესის დასასრულს. იგინი ფრთა-შეკვეცილად ხორციელდებიან ყოველთვის, რადგანაც მოწინააღმდეგე ძალაც დიდია და იგიც თავის ბეჭედს ასვავს ახალს შენობას საზოგადოებისას, მაგრამ ძველთან შედარებით ახალი ყოველთვის ოდნავ მაინც უკეთესია, უკვდავი იდეალები ოდნავ მაინც ყოველთვის ხორციელდებიან ერთა დიდი მოძრაობათა პროცესში. ეს ცოტა რამ არის ის, რასაც ჩვენ პროგრესს ვეძახით. ჩვენ იგი გვწამს და აქ არის წყარო ჩვენის იმედისა.

მ. წერეთელი

# ზავი რუსეთთან.

უკანასკნელი ცნობების მიხედვით საქართველოსა და რუსეთს შორის ზავი იქნა დაწესებული. რუსეთის მთავრობამ აღიარა საქართველოს სრული დამოუკიდებლობა და მისი საზღვრები. ყველა რევოლიუციონერი დიდი ხანია გულმტკივნულად ელოდა ამ ზავს, რადგან ორი საქართველოსა და დღევანდელ რუსეთს შორის მართლაც უდიდესად სამწუხარო და სამარცხვინო მოვლენა იქნებოდა. ვის რა უნდა ჰქონდეს საწინააღმდეგო საქართველოს დამოუკიდებლობისა, რომელიც აოსებითად ქართველი ხალხის ნება-ყოფლობის გამომხატველია! იქნებ დიდად სოციალისტურ ქვეყანას განეზრახოს დასცეს „კონტრევოლიუციონური მთავრობა“ მეორე ქვეყნის და აქაც ააფრიალოს წითელი დროშა საერთაშორისო რევოლიუციისა. მაგრამ უპირველესად ყოვლისა საეჭვოა, მართლაც და სოციალისტურია ის ქვეყანა, სადაც თვით მუშათა კლასის უმრავლესობაც კი ყურმოჭრილი ქვეშევრდომია ახალი ბიუროკრატიისა? წარმოვიდგინოთ, რომ იგი ნამდვილად არის ჭეშმარიტი სოციალიზმის სამეფო, განა აქედან გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ მან მახვილითა და ცეცხლით უნდა გაავრცელოს ყველგან თავისი მოძღვრება ისე, როგორც მართლმორწმუნე მაჰმადიანმა თავისი ყურანი? საფრანგეთის დიდმა რევოლიუციამ გადალახა საზღვრები თავისი ქვეყნისა და ბევრს დამონებულ ქვეყანაში მიიტანა ნათელი თავისუფლებისა, მაგრამ მალე იქნა დავიწყებული ის პრინციპები, რომელიც დასაწყისში საფუძვლად ედვა მის აბობოქრებულ ტალღებს. და იგი არსებითად განიმსჭვალა იმ დაპყრობითი პოლიტიკით, რომელიც დიდი ნაპოლეონის ცხოვრების სული და გული იყო. ამას თან მოჰყვა ძლიერი რეაქცია, რომელმაც განსაცდელში ჩააგდო დიდი რევოლიუციის დიდი მონაპოვარნი.

ეს გზა დღეს არსებითად უარყოფილია ისტორიის მიერ. და ტყუილად ოცნებობდენ მოსკოვის ბოლშევიკები ერთის დაკვრით შეექმნათ ყველგან თავისი მეუფება. შეიძლება ჩამორჩენილი აზერბეიჯანი გარეგნულად წითელი სამოსით შეიმოსოს, მაგრამ ნუ თუ ყველასათვის ცხადი არ უნდა იყოს ასეთი ფერისცვალების ფასი და ღირებულება! არა, დღეს სულ სხვა საჭირო. თითოეულ ქვეყანაში გამოფიზლებული, შეკავშირებული და რევოლიუციურად გაწვრთნილი მუშათა კლასი არა ხიშტების გავლენით, არამედ თავისთავად მოსძებნის თავის თანამოძმეთ სხვა ქვეყნებში, მონახავს მასთან საერთო ენას, შეჰქმნის ერთ მთლიან ფრონტს და აღანთებს დიდ სოციალურ რევოლიუციას საბოლოოდ „დასათურგვნათ ბოროტისა“. ასეთი გზით მიმდინარეობს დღეს მუშათა დარღვეული ერთობის გამთელება და ამას უნდა ემსახურებოდეს მუშათა კლასის ყველა ერთგული და მეგობარი. თანამედროვე უდიდესი რევოლიუცია, რომელმაც ბუმბერაზი ომის მიერ წარმოშობილი ნგრევის წიაღში იჩინა თავი, ძლიერია არა ხიშტებით, არამედ თავისი უმაღლესი ლოზუნგებით, რომელთაც ვერ ჩაჭკლავს ვერავითარი ბოროტი ძალა. ამ ლოზუნგებითაა და არა ჯავშნიანი მატარებლებით, რომ იგი მთელს დედამიწაზე იწვევს ძლიერ მოძრაობათ და ამზადებს საერთაშორისო რევოლიუციას.

დღეს ეს თითქოს შეიგნეს რევოლიუციურ რუსეთის ხელმძღვანელებმა და სხვათა შორის საქართველოსთანაც ჩამოაგდეს ორივე მხარისათვის ღირსეული ზავი. ეს მოვლენა გვახარებს და იმედს კვლავ ფრთებს ასხამს, რომ რევოლიუციის დასამარება სხვადასხვა ჯურის იმპერიალისტების მიერ ყოვლად შეუძლებელია, თუ რევოლიუციის ცეცხლით აღგზნებულმა ქვეყნებმა ნათლად და გარკვეულად წარმოიდგინეს გეგმა და გზა თავისი. საერთო მოქმედებისა და ბრძოლისა.

საქართველოს მშრომელი ხალხიც, რომელსაც ყოველ დდე არ დასჭირდება ფიქრი და ზრუნვა დიდ რევოლიუციაში მოპოებულ ეროვნული თავისუფლების დაცვისა, უფრო გაამაგრებს თავის კლასობრივ პოზიციებს და მეტის ენერგიით ჩაებმება მუშათა საერთაშორისო მოძრაობაში. მეორეს მხრივ, თვით რუსეთის მშრომელი მასა ნაცვლად იძულებით სხვა ქვეყნების წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლებისა, თავის კერას გაამაგრებს, კერას რევოლიუციისას და უფრო მაგარ გრდემლზე გამოსჭედს ძვირფასს ძმობავალს.

ბევრ დამფრთხალ და მოღლილ ინტელიგენტს უკვე ელანდება შავი აჩრდილი რეაქციისა, მაგრამ სცდებიან, შავს ღრუბლებში მაინც ნათლად მოსჩანს ბეთლემის ვარსკვლავი, აღთქმის ქვეყნის გზის მაჩვენებელი. ან, შეიძლება დღევანდელი ვითარება წუთიერი შესვენება იყოს იმ ნარეკლით მოცულ გზაზე, რომელიც უდიდესი განახლების სამეფოში მიგვიყვანს. და ვაი იმათ კი ვინც ასეთი განახლების იმედი უკვე დაკარგეს!

ანაბაპტისტი.



# ძალთა ჭიდილში

ჩვენი ქვეყნის სიცოცხლის წინ კვლავ აღიმართა პოლიტიკური განსაცდელის მწუხარე აჩრდილი...

ას ოცი წლის მონა საქართველო ისევ წარსდგა თავისი საარსებო გამოცდის წინ...
გზა მხოლოდ ორია...

მსოფლიო პოლიტიკის ცბიერი მოჭანდრაკენი ერთხელ კიდევ გვაიძულებენ დავსვათ საკითხი ყოფნა არ ყოფნის..

ლოიდ-ჯორჯი, მილიერანი, ნიტტი ერთის მხრით, ხოლო მეორეს მხრით ლენინ—ტროცკი და... აღმოსავლეთი თავისი ისტორიულის შურის ძიებით...

მაშასადამე მსოფლიო ასპარეზზე ორი უძლიერესი შოპირდაპირენი ლამობენ ხელთ იგდონ ძლიერება, გეგემონია და უმაღლესი ხელის უფლება ამ ქვეყნისა...

ჯერ ამ ძალთა ჭიდილში მესამე ძალა არ არსებობს, და თუ არსებობს მეტად მკრთალი და უსახო!...

ჩვენი პატარა და მრავალ ტანჯული ქვეყანაც იძულებულია ამ ორ ერთი—მეორის დაუძინებელ მტრებს შუა ყოველთვის გაძონაზოს საშვალება და გზა თავის მრავალ წამებელ სიცოცხლის შესარჩენად...

ქართველ გმირთა საფლავებით იწყება ჩვენი უბედურების პირველი ლანდი, თავისუფლების უკანასკნელ მეომართა გადატეხილმა ხმალმა წარიღო თან საიდუმლო ქართველი სულის სიმშვიდისა და კეთილდღეობის...

ას ოცი წელი ვეძიებდით მას ჩვენ, როგორც ერი, და მხოლოდ ორი წლის წინედ გამოვგლიჯეთ აბორგებულ რუსეთის ზვირთებს....

მას შემდეგ ვაშუშებთ ეროვნულ ტანჯვისა და ტყვეობისაგან დაწყლულებულ სხეულს. მას შემდეგ ეძიებს ქართული ბაირაღი სავანეს სიმტკიცისა და გარემოცველობას...

ამ მხრივ თითქმის ცოცხლდება ს-ხე ნატკენი ეროვნული გრძნობიერობის და ამაშია ჩვენი სიძლიერეც...

ორი წელი, ეს ხომ რევოლიუცია იყო ქართული შემოქმედებისა, საალმაშენებელო მუშაობის. ..

ჩვენ მხოლოდ ჩანასახი შევქმენით, მომავლის ვალია მისი ხორც-ასხმა...

და აი ამ დროს ჩვენს ცაზე ისევ გროვდება შავი ღრუბელი და იძულებული ვართ ქართული მკლავები კვლავ ჯავშანსა და მუზარადში გავხვიოთ...

აღმოსავლეთის გაიძვერა პოლიტიკამ არა ერთხელ დააყარა მიწა ქართულ სხეულს...

ჯერ—კიდევ ბათუმის ცეცხლი ხომ არ ჩამქრალა, რომ დავიწყებას მივცეთ, საუკეთესო მამულიშვილთა ძვლები და საფლავები...

ჩვენმა გონიერმა წინ დახედულებამ მაშინ დაგვიხსნა უბედურებისაგან და ადერბეიჯანის მუხანათურ მახვილს თავი დავახწიეთ...

მუსავათის სახე მაშინ ისე შიშველი და ნიღაბ-ახდილი გამოჩნდა...

გულში იგი ყოველთვის ინახავდა ვერაგ ცბიერებას...

და ეს, როცა წიოელი რუსეთი სამეგობრო ხელს უწვდის ფაჩხილებ შეღებილ ოსმალეთს, როცა უხუცესი ქვეყანა სპარსეთი ემზადება შესახვედრად ბოლშევიკურ მხედრობის, როცა აზერბეიჯანის უეცარი „გაწითლება“ ელვარებს, ჩვენ სრულის შეგნებითა და წინ დახედულებით უნდა შევხვდეთ ამ სოციალისტურ ნაციონალისტურ დაქორწინებას და ეს რკალი ჩვენი ქვეყნის ირგვლივ შემოვლებული მოხერხებულის მოქნევით შუა გავკვეთოთ...

ვერც ერთი პროლეტარული მუშათა კლასი ვერ დაგვაყვედრის იმას, რომ ჩვენ აქ უტაქტოდ მოვიქცეოთ, ვერც ერთი შეგნებული მუშა, რომელსაც თავის თავზე განუცდია უბედურება თავის ქვეყნისა, ვერ გვეტყვის, რომ ჩვენ მახვილი ჩავაგოთ და გულზე ხელებ დაკრებილნი შევხვდეთ კარზე მომდგარ ჩვენს დამღუპველ ძალას...

ან ვინ გაბედავს ეს გვითხრას ჩვენ!

ჩვენ ხომ არავისთვის არ გვითქვამს ეს?

რუსეთ—ოსმალეთ—სპარსეთ—აზერბეიდჯანის სარტყელში ჩვენ უეჭველი აბზინდი ვართ, რომლითაც აღმოსავლეთის წელი შეიკვრის და ამიტომაა რომ ასე გაშმაგებით გვეკვეთებიან ყოველი კუთხიდან...

ეს ერთი მხარეა ჩვენი უბედურების.

არის მეორე მხარეც...

ანტანტა ეს დღევანდელი თითქოს ხელის უფალი მსოფლიოსი ყოველივე ამას კარგად გრძნობს კარგად განიცდის და მაინც ჯერ-ჯერობით არავითარი ცნობა არა გვაქვს მის მიერ გადადგმული ნაბიჯების ამ აზღვევებულ ფანატიკოსების შესაჩერებლად. თუ, რა თქმა უნდა სახეში არ მივიღებთ ჩვენი დამოუკიდებლობის „დეფაქტოდ“ ცნობას!

,,დეფაქტო“ დ ცნობა როდი კმარა.

ლოიდ—ჯორჯის ქვეყანა უნდა გრძნობდეს, რომ თუ შეეღწეს ჩვენი კარები და საქართველო დაპრილი დაეცა, ინდოეთის კარიბჭეც გაიხსნება და დიდი ბრიტანეთი ახალ საფრთხეს აეკიდება. სწორედ ამის გამო ევროპის უდიდეს სახელმწიფოს დიპლომატია უფრო მეტის გამჭრიახობით უნდა ეკიდებოდეს ჩვენი დამოუკიდებლობის თავდაცვის საქმეს, ვინაიდან ინტერესთა თითქმის ერთნაირობა ურთი ერთს შორის დახმარებას მოითხოვს...

მაგრამ საქართველოს ჯერ ასეთი არ უნახავს გარდა დამოუკიდებლობის ,,დე—ფაქტო დ'' ცნობისა. .

ამიტომაც თუ ერთი მხარე ძლიერად ფრთებს შლის და ჩვენი განადგურებას ისწრაფვის, ჩვენ უნდა მეორეს ნათლად გადაუშალოთ და ყოველგვარი თავდება ჩვენის არსებობისათვის შევაძლებინოთ.

თუ არ ისურვებენ—მათი საქმეა, მხოლოდ ჩვენ კი ყოველივე საშვალება უნდა ამოვსწუროთ.

დღეს ხომ ნათელია რომ ანტანტის ძლიერების წინააღმდეგ მიმართულია აღმოსავლეთის ამოცანის საკითხი და ამ ორ ძალთა ჭიდილს სურს გადათელოს ჩვენი ქვეყნის ნორჩი სიცოცხლე.....

მაგრამ ერთი რამ ცხადია, უპირველეს ყოვლისა, თვით საქართველომ უნდა სთქვას თავისი გაბედული მოფიქრებული და მიზან შეწონილი სიტყვა...

სიტყვა თავ დაცვის, და ამაში იქნება მისი სიძლიერეც.

საქართველომ დღეს შეიძლება უკანასკნელად იშიშვლოს მახვილი წინააღმდეგ მტერთა და ორგულთა, მაგრამ შეიძლება პირველადვე სამუდამოდ განამტკიცოს მისი ესოდენ ნაწამები თავისუფლება...

მხოლოდ ქართვლს მახვილს, გონებასა და გამჭრიახ წინდახედულებას შეუძლიან უპირველეს ყოვლისა იცნოს თავი თვისი და აცნოს ქვეყანას...

მოხუცი ხელი ოსმალეთისა ჩვენ ერთხელ ვიგემეთ და თუ საქართველოს სურს სიცოცხლე და არსებობა მეორედ მოქნეულ მახვილს მამაპაპეულ რაინდობით უნდა შეხვდეს...

და ამიტომაც ვამბობთ: დღეს ყველა, ვისთვისაც ძვირფასია სამშობლოს კეთილდღეობა, იგი იარაღით ხელში უნდა გამოვიდეს და თავის საკუთარ ხელით და სიცოცხლით დაიცვას ჩვენი მრავალ ნაწამები ქვეყანა.

ამაშია ჩვენი გამარჯვება და ამავე მოითხოვს ახალგაზრდა საქართველოს ძვირფასი და საყვარელი სიცოცხლე.

**ს. კოლხიდელი.**

# კონფედერაცია თუ სუვერენული სახელმწიფო ამიერ-კავკასიაში

პოლიტიკური ცხოვრება ამიერ-კავკასიის ერებისა მუდმივ მოძრაობაში იმყოფება; ერთი პოლიტიკური ფორამ მეორეს სცვლის; ორგანიზაციულად უკვე ჩამოყალიბებულ ერთეულების გვერდით გვხვდებიან საშუალო ფორმები, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი, რომელიც ან ჩანა-

სახია მომავალ პოლიტიკურ ერთეულისა ან ნაშთია უკვე დრომოჭმულ საზოგადოებისა. ყველა ეს კავკასიის პოლიტიკურ ცხოვრებას მეტად ჭრელს და მრავალფეროვან სახეს აძლევს.

ასეთ რთულს და დახლართულს პოლიტიკურ ცხოვრებაში შეიძლება აღვნიშნოთ ნორმალურ განვითარების ერთი ძირითადი პრინციპი—თანდათანობრივი განვითარება პოლიტიკურ სუვერენიტეტისა და მის განხორციელების საშუალებათა დიფერენციაციისა. ამ მიმართულებით მყარდება ერებს შორის მუდმივი იურიდიული დამოკიდებულებანი პირველად ჩამოუყალიბებელ კონფედერალიზმის და შემდეგ ორგანიზაციულ კონფედერალიზმის სახით. კონფედერალიზმის მიზანია სრულებით დანაწილებულ ერთეულების გაერთიანება. იგი გამაერთიანებელ როლს თამაშობს იქ, სადაც აქნობამდის მტკიცე ორგანიზაციულ ერთობის მაგიერ პოლიტიკური ამორფია სუფევდა. ამ მხრივ პოლიტიკური კონფედერალიზმი საუკეთესო ფორმაა ანარქიულ მდგომარეობის მოსასპობად. მაგრამ კონფედერაცია თუ ერთ სუვერენულ ძალის მიერ არ არის შემუშავებული, მერყევ პოლიტიკურ გაერთიანებას წარმოადგენს, რასაც შედეგად მუდმივი კონფლიქტები მოსდევს. ეს კი გამოიწვევს იმას, რომ კონფედერალური გაერთიანება დაუბრუნდება ისევ ძველს ამორფულ მდგომარეობას, ან და შემდეგ პოლიტიკურ სტადიაში გადავა—გადაიქცევა ფედერალურ ან დეცენტრალისტურ უნიტარულ სახელმწიფოდ.

აღსანიშნავია ამის გარდა კიდევ ერთი რამ. რადგან კონფედერაცია მხოლოდ მთავრობათა კავშირია, ამიტომ მას არ აქვს თავის პოლიტიკის აუცილებლობის და ჭეშმარიტების გარანტია. სხვა და სხვა კონფედერაციების ისტორიული გამოცდილება ამტკიცებს, რომ საზოგადო კონფედერალური პოლიტიკის წარმოების დროს, ან საზოგადო მოკავშირეთა კანონების ასრულების დროს, ან საერთო თანხის შექმნისთვის, კონფედერალურად შეკავშირებულ სახელმწიფოთა თავისუფალ სურვილზე დამყარება ძლიერ ძნელია. ცენტრალურ კონფედერალურ მმართველობის განკარგულებანი სავალდებულოა მხოლოდ ცალ-ცალკე სახელმწიფოთა მთავრობათათვის და მათ მიერვე სრულდება თავიანთივე მოხელეთა საშუალებით. მაგრამ ეს განკარგულებანი თუ ადგილობრივ საზოგადოებრივ აზრთაგან მოწონებულ არ იქნა, აუსრულებელი რჩება. ცენტრალური კონფედერალური მმართველობა, თუ ემყარება სუვერენულ კავშირების მხოლოდ თავისუფალ შეთანხმებას, ყოველთვის უნიადაგო და უღონოა. აქედან ცხადია, რომ კონფედერალური ცენტრალური მმართველობა განსაკუთრებული, ყველა მოკავშირეთაგან დამოუკიდებელ ძალით უნდა იყოს აღჭურვილი.

კაცობრიობის ისტორიულ ცხოვრების მიმდინარეობა იმ ხანაში გადადის, როდესაც ერებს შორის კავშირების და შეთანხმებათა საკითხი მორიგ დღიურ საკითხად გადაქცეულა. ევროპის დღევანდელ აბობოქრებული ცხოვრება, იქ მცხოვრებელ ერთა პოლიტიკურ კავშირებით და კონფედერალურ შეთანხმებებით უნდა დამთავრდეს. პოლიტიკურ ცხოვრების ასეთი ფორმა უფრო საჭიროა ამიერ-კავკასიის ერებისთვის. კავკასიის პატარა ტერიტორიაზედ მრავალი ერი სცხოვრობს და თითქმის ყველა მათგანი დღეს პოლიტიკურ ფორმების ძიებაშია. უმრავლესობა მათგანი თითქოს საწადელს მიუახლოვდა. სასურველი პოლიტიკური ფორმა თითქოს იპოვეს, როდესაც დამოუკიდებლობის ნიადაგზედ დადგნენ. მაგრამ მრავალგვარ ინტერესთა ერთიანობამ კავკასიის ერები იმ შეგნებამდე მიიყვანა, რომ ეროი ერთმანეთიდან სრულიად დამოუკიდებელნი ვერ იქნებოდნენ. მრავალი ისეთი რამ საერთო აღმოჩნდა პოლიტიკურს თუ ეკონომიურ სფეროში, რომ სახელმწიფოთა განკერძოებით ყოფნა მიზან-შეუწონელი გამოდგა. აქ ბუნებრივად მათი პოლიტიკური შეკავშირების იდეია უნდა ჩასახულიყო. და მართლაც ამ სახელმწიფოებმა მალე ერთმანეთ შორის კონფედერატიულ შეკავშირებაზედ დაიწყეს ლაპარაკი. ერების ურთიერთშორის დამოკიდებულობაში კონფედერაცია პოლიტიკურ ცხოვრების საუკეთესო ფორმაა. ამ მოსაზრებით ამიერ-კავკასიის სახელმწიფოებმა პოლიტიკურ საჭიროებას თითქოს სწორე ალღო აუღეს. მაგრამ კონფედერაცია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ. საშიში ფორმაა, თუ მკვიდრ ნიადაგზე არ არის აშენებული. იგი პოლიტიკურ ამორფიის სახეს მიიღებს, თუ ეს კავშირი ერთა განვითარების ბუნებრივი შედეგი კი არ არის - ხელოვნურად, თეორიულად შეკოწიწებული სახეა. კონფედერაცია სრულებით უნიადაგოა იმ ერებს შორის, რომლებიც ფსიქოლოგიურად მოპირდაპირე ბუნებისანი არიან სწორედ ამ უკანასკნელ გარემოებებს დიდი ადგილი აქვთ ამიერ-კავკასიის ერთა ცხოვრებაში, რაც კონფედერაციას შეუძლებლად ხდის.

რით განსხვავდებიან ამიერ-კავკასიის ერები ერთმანეთისგან, და რათ არის შეუძლებელი მათ შორის წმინდა კონფედერაცია?

კონფედერაციის მთავარი მოთხოვნილებაა, რომ ყოველი მოკავშირე სახელმწიფო ჯერ თვით მტკიცედ იდგეს დამოუკიდებლობის ნიადაგზედ. თუ მათში ეს შეგნება სუსტია, მათი კონფედერაციაც მხოლოდ გარეგნული და მიტომ უნიადაგოა. ამიერ-კავკასიის სახელმწიფონი ყველა არ დგა და არც შეუძლიანთ იდგნენ დამოუკიდებლობის ნიადაგზედ. დამოუკიდებლობის ნიადაგზედ შეუძლია იმ ერს იდგეს, რომელსაც სახელმწიფოს იდეია აქვს. ეს იდეია კი თეორიულათ არ იქმნება. იგი მემკვიდრეობის შედეგია. როცა ერს დროის განმავლობაში საკუთარი პოლიტიკური სახელმწიფო აქვს, სახელმწიფოს იდეიაც მისთვის ინსტიკტიური სახისაა, ეს მისი ბუნებრივი მოთხოვნილებაა, ურომლისოდაც მას არსებობაც ვერ წარმოუდგენია. მაგრამ თუ ერს ისტორიულ მსვლელობაში სახელმწიფო ან სულ არ ჰქონია ან დიდი ხანია მოსპობია, მისთვის დამოუკიდებლობის იდეიას მხოლოდ თეორიული სილამაზე აქვს. პრაქტიკულად მისთვის დამოუკიდებლობას ღირებულება არა აქვს და ამიტომაც ძალის წინაშე დიდხანს არ დაიცავს მას. ასეთია აზერბეიჯანის მდგომარეობა. იგი დროთა მიმდინარეობაში სპარსეთის და სხვა სახელმწიფოთა პროვინცია იყო. მთლიან ერთეულად იგი არასოდეს არ ყოფილა. მისი რამოდენიმე სახანო ყოველთვის სხვადასხვა სახელმწიფოს მოხარჯე ვასალად იყო. ხშირად საქართველოს ემორჩილებოდა, ხარკს იხდიდა და სამაგიეროდ მფარველობას ღებულობდა. ასეთ პირობებში აზერბეიჯანის ერში დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნას ადგილი არ ექნებოდა, ცხადია მათი დამოუკიდებლობა მხოლოდ მეცნენეე ინტელიგენციის სურვილი იქნება. ხალხი—მასსა კი მუდამ სუვერენის ძებნაში იქნება და მხოლოდ სხვის ფრთეების ქვეშ მოისვენებს.

აზერბაიჯანის მდგომარეობას წააგავს სომხეთის მდგომარეობაც. სომხის ერი ისტორიამ განსაკუთრებულ პირობებში ჩაადგა. შეიძლება ამ ერს მრავალჯერ ჰქონდა სურვილი სახელმწიფოს შექმნისა, მაგრამ პრაქტიკულად ეს არ ხერხდება. სომეხთა მოსახლეობის ტერიტორია იმოვითვე სხვადასხვა სახელმწიფოთა საომარ არენად იყო გადაქცეული. ამ ძალთა ჭიდილის შორის სომხეთი ხანდისხან ახერხებდა დამოუკიდებელ სახელმწიფოს შექმნას. უმეტეს შემთხვევაში კი სომხეთი სხვის მოხარკე ქვეყნად ყოფილა. 4—5 საუკუნიდან ქრ. შ. სომხეთი, როგორც სახელმწიფო, აღარ არსებობს. მისი ნაწილები სხვადასხვა სახელმწიფოს საზღვრებში მოექცა და იმდენად დამორდა ერთმანეთს, რომ დღეს მათ შეერთებაც მათივე სულიერი წინააღმდეგობა და ინტერესთა სხვადასხვაობა უშლის. სომხის ერს მხოლოდ რელიგიური მთლიანობა შერჩა, დანარჩენ შემთხვევაში იმდენად განსხვავდებიან ერთმანეთისგან, რომ სხვადასხვა მხარეს მაცხოვრებელი სომხები სხვადასხვა ნაციას წარმოადგენენ. მათი შეერთება მხოლოდ თეორიაში შეიძლება. აკი ამიტომაც მთლიან სომხეთის შექმნაც ლამაზ ილიუზიად გადაქცეულა და უფრო ოცნების საგანია, ვიდრე სინამდვილისა. სომხეთისთვის დამოუკიდებლობის იდეიაზედ დგომა, ეს პოლიტიკური ტანჯვაა. რომ გარეშე შექმნელი პირობები არ აიძულებდენ, სომხებისთვის დამოუკიდებლობას არსებითი მნიშვნელობა არა აქეს. სხვა სახელმწიფოს მათზედ მანდატი ეს ის შესაძლებლობაა, რომლის იქითაც სომხეთს აღარ უნდა წასვლა.

სულ მოწინააღმდეგე მდგომარეობაშია საქართველო. საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო მხოლოდ მე-19 ე საუკუნიდან აღარ არსებობს. ამ ერთ საუკუნეში ქართული პოლიტიკური აზროვნება დამოუკიდებელ სახელმწიფოს მოსპობას ვერ შეურიგდა. პირველ ხანებში იგი დამოუკიდებლობის აღდგენის ნიადაგზედაც კი დგება. საქართველოს სხვადასხვა კუთხის ამბოხებები, საიდუმლო შეთქმულობანი რუსეთის მმართველობის წინააღმდეგ, ქართველი ერის სულისკვეთების გამომხატველია. თანდისთან სეპარატიზმის იდეია საქართველოში სუსტდებოდა და თითქმის დამოუკიდებელ სახელმწიფოს აღდგენის იდეია უფრო ვიწრო წრის სურვილად რჩებოდა, მაგრამ ნაციონალური განკერძოების სურვილი ქართველების ყველა ჯგუფში და ყველა მიმართულებაში ყოფილა. ქართველი ერის ცხოვრება გარეშე ნაციონალური თავისუფლებისა ვერავის ვერ წარმოუდგენია. ქართულ სახელმწიფოებრივ ნიადაგზედ დგომა და დამოუკიდებლობის იდეიის ქონა ეს საქართველოს ყოველ პოლიტიკურ ჯგუფისთვის შესაძლებელი იყო და ამიტომაც როცა ქართველი ერის ისტორიამ ამ აუცილებლობის წინაშე დააყენა იგი, როგორც ერთი ადამიანი დამოუკიდებლობის ნიადაგზედ მტკიცეთ დადმ. ქართველ ხალხში გაიღვიძა მე-18-ე საუკუნეში მიძინებულმა პოლიტიკურ სახელმწიფოს სულმა და დღეს ყოველი ქართველი ისე დაიცავს თავის სახელმწიფოს, როგორც იგი იცავდა ასპინძის თუ კრწანისის ველებზედ. დამოუკიდებლობის იდეია ეს ქართველ ერის პოტენციაში მუდმივ ყოფილა და რადგან იგი რეალობაში გადავიდა ველარავითარი ძალა მას ველარ მოსპობს. მე-19-ე საუკუნის მდგომარეობაში საქართველო ბევრჯერ ყოფილა: რომაელების ბატონობა, არაბების ბატონობა, მონღოლების და რუსების ბატონობა გამოუცდია, მაგრამ ესენი გამქრალან, წასულან და საქართველო ისევ სახელმწიფოდ აღდგენილა და დარჩენილა.

ზემონათქვამიდან ცხადია, რომ ამიერ-კავკასიაში დამოუკიდებლობის ნიადაგზე მხოლოდ საქართველო სდგას. პოლიტიკურ სახელმწიფოს შექმნა მხოლოდ მას შეუძლიან. მემკვიდრეობას პოლიტიკურ ცხოვრებაშიც დიდი მნიშვნელობა აქვს. ასეთი მემკვიდრეობა კი ისტორიას მხოლოდ ქართველობისთვის გადმოუცია. ამრიგად სახელმწიფოს შექმნის უნარი მხოლოდ ქართველ ერში უნდა ვეძიოთ.

მსოფლიო ომს, სხვათა შორის. ერთი აუცილებელი შედეგი მოჰყვა: რუსეთში სამოქალაქო ომი, რომელიც დიდხანს გასტანს და შემუსრავს მას, ვიდრე რუსის ერი ნაციონალურს შეგნებას მიიღებს და ყველასათვის მოულოდნელ პოლიტიკურ პირობებს შექმნის: სამოქალაქო ომის გამო კი ამიერ-კავკასია სამუდამოთ რუსეთს ჩამოშორდა და საკუთარი გზით იწყო სიარული. ეს არის გარემოებათა მიერ ნაკარნახევი აუცილებელი გზა. როგორ მდგომარეობაში ჩავარდება ამ პირობებში ამიერ-კავკასია? როგორც ზევით დავინახეთ, აქ ცალ-ცალკე სახელმწიფოების შექმნა არ ხერხდება, ჯერ აზერბაიჯანმა და სომხეთმა პოლიტიკური აღზრდა უნდა მიიღონ, რომ სახელმწიფო შექმნან. თუ სახელმწიფოები არ იქნებიან, მაშასადამე არც მათ შორის კონფედერაცია შეიძლება. ისე რომ ამიერ-კავკასიის კონფედერაციაზედ ლაპარაკი ჯერ ნაადრევია. ამიერ-კავკასიაში მხოლოდ ერთად-ერთი პოლიტიკური ფორმაა შესაძლებელი. აქ სუვერენული უფლებით უნდა აღიჭურვოს ის ერი, რომლისთვისაც სახელმწიფოს იდეა თანდაყოლილია. ასეთია ამიერ-კავკასიაში ქართველი ერი, რომელიც უნდა იყოს სუვერენი ამიერ-კავკასიისა. ეს ფორმა ამიერკავკასიისთვის არც თუ ახალი იქნება. ჯერ ისევ მე-18-ე საუკუნეში განჯის სახანო და ერევნის სამთავრო საქართველოს მოხარკე პროვინციებად ითვლებოდნენ. მაგრამ ამ ფორმას მე-18 ე საუკუნეში თუ იმპერიალისტური ხასიათი ჰქონდა ეხლა მას წმიდა კულტურულ-პოლიტიკური ხასიათი ექნება. პოლიტიკურის მხრივ ამიერ-კავკასიის სტრატეგია მოითხოვს ერთი ძალა მოქმედობდეს შავი ზღვის და კასპიის შორის მდებარე ტერიტორიაზედ. აქ ცალკე ერების ცალ-ცალკე გამოსვლა ვერ შეჰქმნის მშვიდობიანს და უშიშარ პირობებს შემოსეულ მტრის წინააღმდეგ. კულტურულის მხრივ ამიერ-კავკასიის ერების შეთანხმებით მუშაობა მალე გადააქცევს ამ კუთხეს კულტურულ ქვეყნად. საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში კულტურულ ავტონომიით აღჭურვილი აზერბაიჯანი და სომხეთი მაღალკულტურის მქონე ერად გადაიქცევიან. ყველაზე დიდი მნიშვნელობა კი საქართველოს მფარველობის ქვეშ ამიერ-კავკასიის ერთა შეერთებას, მშრომელ მასისთვის ექნება. გაერთიანებულის ძალით სამივე ერის პროლეტარიატი უფრო ნაყოფიერად იბრძოლებს იმ სოციალური გარდამქნისათვის, რომელიც შედეგია ეკონომიურ განვითარებისა

ამის მიხედვით ამიერ-კავკასიაში დაბადებულმა კონფედერაციის აზრმა ადგილი უნდა დაუთმოს უკვე ფედერალურ სახელმწიფოს აზრს. ფედერალურ სახელმწიფოში ცალ-ცალკე შტატებს მიეცემათ ყველა ის, რაც ავტონომიას საჭიროებს და რაც შეიძლება თვითმართველობას მიენიჭოს თავის ბუნებით. დანარჩენი ძალა უფლება კი უნდა მიენიჭოს ჰარმონიულად შემაერთებელ სუვერენულ ძალას. ასეთ სუვერენად ამიერ-კავკასიაში საქართველო შეიქმნება და მის ფარგლებში ყველა ერებს ავტონომიურ შტატების სახით სრული განვითარება მიეცემათ. ამ პირობებში უზრუნველყოფილი იქნება ამიერ კავკასიის ერთა პოლიტიკური და კულტურული წინსვლა *)

**თედო ბეგიაშვილი.**

---

*) რედაქცია ავტორის მოსაზრებათა არ იზიარებს) რედაქცია.

# ვაუგეგრეგა, თუ დეგაგოგია

(პასუხად ბ. ნ. კანკავას)

Онъ Бармочетъ молитву вомракѣ ночной-занихиду о прошлыхъ годахъ ლ. ნ ლერმონტოვი.

მომენტი მართლაც მძიმე და პასუხსაგებია. საზოგადოებრივ აზროვნებას ჯერ მსგავსი რამ არ განუცდია. ხდება ერთგვარი გადაფასება მართლადაც ღირს შესანიშნავ მოვლენების. საკაკობრიო შემოქმედების წიაღში ჯერ მხოლოდ პოლიტიკურ მზვერავთა ძიების სინონიმები მოსჩანან...

მსოფლიო რევოლიუციონურ დატაკების აჩქარებულ ბგერას გრძნობს. აბჯარ-მუზარადში ჩაქედილია ორი უდიდესი გოლიათი ჩვენი ცხოვრების—ბურჟუზია და პროლეტარიატი...

სისხლიო ნაორთქლებ კაცობრიობას კი ისე ენატრებოდა მშვიდად და ტკბილად განსასვენი. გარნა უდიდეს იმებში განიჭედა შურის-ძიების შხამიანით ინსტიქტი და პროლეტარიატის დამიწებულ ძვლებზე განიკვეთა ხიდი კლასურ ურთიერთობის განუყრელობისა...

ჩვენი ღაღადისი თითქოს სრულდება. რევოლიუციების მსოფლიო ოაზისი იმედნეულებს, რომ უყივის მუშათა კლასს, გულიდან ფიქრს არ გვაშორებს და ამიტომაც თვალს არ ვაშორებთ რევოლიუციის ამაყ სტიქონს...

რა ვუყოთ, თუ მრავალნი საყვედურებით არ გვასვენებენ და ჩვენი ძიების გზებს თითქოს სტკეპნიან.

ერთი რამ მაინც ცხადია, ჩვენი პოლიტიკური სამოსელი გავიხადეთ და სადაც მუშათა კლასის ინტერესები—არ იქნება დაცული ჩვენი ვერც ერთი ამხანაგი იქ ვერ შევა.

როგორც სინდიკალისტებს ამის სითამამე უეჭველად გვაქვს! ჩვენი ალამი ევროპის პროლეტარიატმა კვამლიან ჭარხნებში აღმართა და რომი, პარიზი და ლონდონი არა ერთხელ შედრეკილან იმისი სიწითლით...

დღევანდელი იმპერიალიზმის ხმალის ჩაგებაც, ვფიქრობთ რევოლიუციონურ სინდიკალიზმის ფაფარ დაუდრეკელ ბრძოლით ხდება და ამაშია ჩვენი სიძლიერეც...

დედამიწის ვერც ერთი კუთხე ვერ გაამყლავნებს იმას, რომ თითქოს სინდიკალისტურ დროშის ქვეშ სადმე ან თუნდაც რომელიმე ქარხანაში ჩვენ ვასაზრდოვებდეთ შეუგნებელს, ტლანქსა და უხეშ ბრბოს, პირ-იქით სინდიკალიზმი მხოლოდ პროლეტარული მაღალი შეგნების უდიდესი სიმბოლოა და ჩვენ გვგონია „ურწმუნო თომები“ ან გულუბრყვილოდ სცდებიან ან რაიმე მიზეზით თავს იტყუებენ...

ევროპის მუშათა კლასი, რომლის უდიდესი ნაწილი სინდიკალიზმის მრწამსს ეხიარა,—ვფიქრობთ ჩვენში იმ ადამიანების გაკრიტიკების მიღლა სდგას, რომლთაც მიზნად დაუსახავთ წვრილფეხა დემაგოგობა. ცხადია, ბ. ლ. კანკავა ნაკლებად იცნობს ცნობილ პუბლიცისტის, ნ. ჟორდანიას „რჩეულ ნაწერებს“!.. ბ. ნოე ამაში პირველ მოწმედ ჰყავთ ქართველ რევოლ. სინდიკალისტებს!

მაშ რაშია სიქმე?

მოხუც გონებით ბ. კანკავა რად გადასძახის ახალ-გაზრდობას: „Ахъ дѣти, дѣти, какъ опасны ваши лѣта“ ო. თუ ბ. კანკავას ბოლშევიზმის სურს დასცალოს რევოლ. სინდიკალიზმის კრულვის და წყევლის სადღეგრძელო, ნებას მივცემდით ჩვენს თავს მისთვის უმდამბლესად მოგვეხსენებინა:

ვინც რომ ყანა უკუღმართად აკეთოს, და თესოს, ფარცხოს, ჩვენ იმ ჭადსა ხუღარ გვაქმევს.

რაც რომ იმით გამოაცხოს!..

ცხადია ყველა იგი, ვინც მუშათა კლასის სწორსა და უტყუარ გზას პოლიტიკურის ხელის უფლებით დასცილდა, მათსა და ჩვენს შორის განუვალი და მიუდგომელი უფრსკულია. ჩვენი გზა წმინდა **პროფესიონალურია**, პოლიტიკური პარტიების **წმინდა სახელმწიფოებრივი**... მაშასადამე ამკარა და ნათელი უნდა იყოს სიცხადე ჩვენი გეზისა და მიმართულების...

ჩვენი პროგრამის ვერც ერთი დებულება; ვერც ერთი რევიზორი კანკავა ვერ იპოვის ძალა-უფლებისათვის ბრძოლის ვერც ერთ მუხლს.

ჩვენი შემოქმედება უმთავრესად მუშათა კლასის შეგნებას, განათლებასა და გონებრიობას ემყარება და მხოლოდ სათანადოდ მომზადებულ მუშებით გვსურს შებრძოლება ბურჟუაზიასთან—ანუ მარქსის არ იყო: **ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაცია.**

გარეშე მუშათა კლასის განვითარებისა, მომზადებისა და სათანადო ცოდნისა და გამოცდილების ჩვენი კავშირი აოასოდეს მიზნად არ ისახავდა რაიმე აქტიურ ნაბიჯის გადადგმას და განსაკუთრებით ბუნტარულს. კანკავა ბრძანებს, რომ სოციალ. დემოკრატიის სიძულვილი მასის დაცემითა და დაქცევით თითქოს ვიხარებდეთ ჩვენ. ჩვენი გამოსვლა არასოდეს არ ყოფილა მიმართული, უნდა გულწრფელად ვაღიაროთ, წინაღმდეგ იმ სოციალისტებისა, რომელთაც მიზნად დაუსახავთ სამსახური და ერთგულება მუშათა კლასისთვის და ჩვენი მეგობრული განწყობილება თუნდაც თქვენს მიმდევრებთან თავდებთა ამ ერთგულებისა. გარეშე ამისა ერთი რამე სურს ბრძანოს ბ. უფროს ბ. კანკავას: ეს არის ჩვენი ერისა და ქვეყნის წინაშე ჩვენი თითქოს გულგრილი და არა სათანადო ქედ-დრეკილება და სამსახური. მაგრამ იგი ვინც იცნობს ჩვენი ქვეყნის გარეშესა და შინაურ ფრონტებს, უნდა უეჭველად ჩვენს ამხანაგებსაც იცნობდეს. ბ. კანკავას ეს მომენტი სხვა არა იყოს რა, დაკინვაა მაინცა არა თუ მარტო საკუთარი პერსონის, არამედ იმ პარტიისაც კი, რომელმაც მხოლოდ ორი წელია თავის პარტიულ დროშას სიტყვა „საქართველო“ დაუწერა...

და ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ყოველთვის ზვარაკად მიეგვქონდა სიცოცხლე, სიყვარული და ერთგულება საყვარელისა და მრავალ ნაწამებ მამულისა და ერის სამსხვეოპლოზე. და იგი ვინც ბედავს ჩვენ ეს გვითხრას, ვფიქრობთ, ცოტა არ იყოს ისტორიის ფურცლებს დავიწყებას აძლევს.

დასასრულ ტეხნიკურ კომისიის შესახებ უნდა ერთხელ და სამუდამოდ განვაცხადოთ, ჩვენი თანამშრომელის „ერთი ვინმეს“ წერილის შესახებ: ზოგიერთი უკმაყოფილება ჩვენ იქვე ვსთქვით, მაგრამ რაკი ასე ფართედ, ასე ვრცლად კეთილ ინებეთ მისი გამოტანა, ჩვენც კვლავ ვაცხადებთ: „ერთი ვინმეს“ წერილი რედაქციამ მისგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო შეუმოწმებლად გაუშვა, მაგრამ კეთილი ხელმძღვანელი ასე როდი გააშუქებდა საქმეს და ჩვენს საერთო ოჯახში ამდენ ||უკმაყოფილებას არ შემოიტანდა. იგი მრავალჯერ—სხვა გაზეთებმა ჩვეულებრივი ენით უპასუხეთ. ჩვენი რედაქციაც გიპასუხებდათ.

მაგრამ რა-კი ბ. ლევან ასე ინებეთ, დეე აღსრულდეს ნება თქვენი „და საქმემან თქვენმან გამოგაჩინოთ თქვენ!!!

ჩვენ კი ერთხელ კიდევ ვაცხადებთ თქვენი გადაღმა მდგომ გულწრფელ სოციალისტებისა და სოციალიზმის ერთგულ მეგობრების საყურადღებოთ, რომ რევოლ-სინდიკალიზმი არ არის გზა შემთხვევითი მეამბოხეთა. რომ რევოლ. სინდიკალიზმი არ არის განყენებული პროგრამა ვინმე ყმაწვილების, რომ სინდიკალიზმი არ ფიქრობს შემთხვევით თავდასხმას, არამედ მისი შეგნებული წმინდა და მაღალი დროშა მხოლოდ ინტერნაციონალურ მუშათა კლასს უყარია და იგი არც ერსა და ქვეყანას ამბოხებით და განადგურებით არ ემუქრება.

მისი ცხოველმყოფლობა ევროპის პროლეტარიატმა დიდი ხანია გულთან ახლოს მიიღო და შეითვისა.

ამას ამტკიცებს ნ. ჟორდანია, ამასვე ამბობს არჩილ ჯორჯაძე.

**საქ. რევ. სინდ. რკინის გზის ფრაქცია.**

რედაქტორ-გამომცემელი—**სარედაქციო კოლეგია**

სტამბა ქართული ბეჭდვითი ამხანაგობის, რუსთაველის პრ., № 26.

D 984 5
1919